აშშ-ს პრეზიდენტის,
ვუდრო ვილსონის 14 პუნქტი

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი - *მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ ვ. ვილსონის 14-პუნქტიანი ხელშეკრულების პროექტსა და ვერსალის ხელშეკრულებას.*

აქტივობის განსახორციელებლად მოცემულია წყარო, რომელიც წარმოდგენს ვ. ვილსონის 14-პუნქტიანი ხელშეკრულების პროექტს. ამასთანავე, სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემულია ვერსალის ხელშეკრულების პუნქტები ან ზოგადი მიმოხილვა. აქტივობის პირობის მიხედვით, მოსწავლეებმა/ჯგუფებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ ეს ორი წყარო და, მათზე დაყრდნობით, შექმნან დოკუმენტის საკუთარი ვერსია. ამგვარი აქტივობა, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ორ მაღალ კოგნიტურ დონეს შეესაბამება, კერძოდ, ანალიზსა და სინთეზს. აქტივობის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია, მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევარი გამოიყენონ ესეს ან თხზულების დასაწერად, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასასრულსა და შედეგებს შეეხება.

კლასი: IX და XII კლასი

დავალება:

1. ჯგუფური სამუშაო (თუ კლასი მცირეკონტინგენტიანია, მაშინ დავალება ინდივიდუალურად სრულდება).
2. მასწავლებელი ავალებს ჯგუფებს, სასკოლო სახელმძღვანელოებში გაეცნონ ვერსალის ხელშეკრულების პირობებს.
3. მასწავლებელი ავალებს ჯგუფებს, გაეცნონ აშშ-ს პრეზიდენტის, ვ. ვილსონის, პირობების 14-პუნქტიან ჩამონათვალს.
4. მასწავლებელი ავალებს ჯგუფებს, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაწერონ მსგავსება და განსხვავება ვერსალის ხელშეკრულებისა და ვ.ვილსონის პირობებს შორის.
5. ჯგუფები მსჯელობენ, თუ რომელი დოკუმენტის პუნქტებია მათთვის როგორც მისაღები, ასევე მიუღებელი.
6. მასწავლებელი ავალებს ჯგუფებს, ორივე დოკუმენტის პუნქტებზე დაყრდნობით, შექმნან მათთვის მისაღები დოკუმენტი.
7. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, შეიძლება მოსწავლეებს დავაწერინოთ თემა, რომელიც I მსოფლიო ომის დასასრულსა და მისი შედეგების ანალიზს შეეხება.

წყარო. აშშ-ს პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის, 14 პუნქტი:

1. ღია საზავო მოლაპარაკებები;
2. ზღვებზე ნაოსნობის სრული თავისუფლება;
3. საბაჟო შეზღუდვების გაუქმება;
4. გარანტიების დაწესება შეიარაღების შემცირებაზე;
5. კოლონიური საკითხების მიუკერძოებლად მოგვარება;
6. გერმანიის მიერ რუსეთის ყველა ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლება;
7. ბელგიის გათავისუფლება და აღდგენა;
8. გერმანიის მიერ საფრანგეთისთვის ყველა ოკუპირებული მიწის დაბრუნება, ელზას - ლოტარინგიის ჩათვლით;
9. იტალიის საზღვრების შესწორება ეროვნული ნიშნით;
10. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ერებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება;
11. გერმანიის მიერ რუმინეთის, სერბიისა და ჩერნოგორიის გათავისუფლება;
12. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული ავტონომიების შექმნა;
13. დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნა;
14. ერთა ლიგის შექმნა, რომელმაც ახალი საერთაშორისო წესრიგი უნდა დაამყაროს და მშვიდობის დაცვის გარანტი გახდეს.

ცხრილი

განსხვავება ვ.ვილსონის 14 პუნქტი	**საერთო** ვ.ვილსონის 14 პუნქტი და ვერსალის ხელშეკრულება	**განსახვავება** ვერსალის ხელშეკრულება